



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო
უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

ნატალია აწკარუნაშვილი

**სოციალურ ქსელში პოსტვის ფსიქოლოგია და ფსიქოლოგების
პოსტები**

ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მაისაშვილი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

საჩვენო

ქვეყნის 3
ქვეყნის ქვეყნის 4
ქვეყნის ქვეყნის: 4
ქვეყნის ქვეყნის: 4
ქვეყნის ქვეყნის: 4
ქვეყნის ქვეყნის ქვეყნის 5
ქვეყნის ქვეყნის 17
ქვეყნის ქვეყნის/ქვეყნის ქვეყნის 17
ქვეყნის ქვეყნის ქვეყნის 19
ქვეყნის ქვეყნის ქვეყნის 22
ქვეყნის 27

ანოტაცია

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს და გაანალიზოს სოციალურ ქსელში, კერძოდ - ფეისბუქში პოსტის გამოქვეყნების მოტივაციური ფაქტორები: ერთის მხრივ ფეისბუქზე გამოქვეყნების ფსიქოლოგიური მოტივები რიგითი მომხმარებლების მხრიდან, ხოლო, მეორეს მხრივ პროფესიონალი ფსიქოლოგების ქცევა და კონტენტი - როგორც მოტივაციის შედეგი ან მოტივაციის აღმძვრელი სხვათათვის.

მეთოდით გამოყენებულია:

1) მონიტორინგი-სამიზნე პროფესიული ჯგუფის წევრებზე, კერძოდ პროფესიონალ ფსიქოლოგებზე დაკვირვება.

2) დისკურსის ანალიზი-იმ პოსტების მიხედვით, რომლებშიც იკვეთება მოტივაციური ფაქტორები.



თანამედროვე მედიაში, შესაბამისად, სოციალურ ქსელებში (ჩვენს შემთხვევაში Facebook-ში) ფსიქოლოგებს შეუძლიათ, რომ მომხმარებლებს უნიკალური ანალიზი და პროფესიულად დამუშავებული პოსტები შესთავაზონ, რის გამოც ზოგადი პროფესიის ამ დარგს მუდმივი ინტერაქცია აქვს სოციალური ქსელის მომხმარებლებთან და აქტუალურობას დღემდე ინარჩუნებს. ამ სწრაფი საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით, ფსიქოლოგები მომხმარებლებს კონკრეტულ რჩევებს უზიარებენ, მათ კეთილდღეობაზე ზრუნავენ და არსებული ფსიქოლოგიური გამოწვევების გადალახვაში ეხმარებიან. სოციალურ ქსელებში აქტიურობისას შესაძლოა, რომ ფსიქოლოგებმა ყურადღება გაამახვილონ თვითშემეცნებასა და გონების ჯანსაღადი ფუნქციონირების თემაზე. სწორედ ამ კუთხით, მათ შეუძლიათ, რომ წაახალისონ ინდივიდები, რათა დაფიქროს საკუთარ

განზრახვებზე, ემოციებზე და იმ ზეგავლენაზე, რაც ფსიქოლოგების პოსტებიდან აქვთ მიღებული.

ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზანია გამოვარკვიოთ- რა საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლებია ფეისბუქის მომხმარებლებისა და პროფესიონალი ფსიქოლოგების პოსტებს შორის. კვებაში დაგვეხმარება სამი სახის ფსიქოლოგიური კატეგორია, როგორებიცაა: სიყვარული მიკუთვნებულობა, ფსიქოლოგიური მოთხოვნები, თვითრეალიზაცია.

- 1) პირველი კატეგორია- ამ კატეგორიის მიზანია, რომ გამოვარკვიო, რა სვაობაა სოციალური ქსელის მომხმარებლებსა და პროფესიონალი სტატუსის მქონე ფსიქოლოგების პოსტებს შორის. იმის გათვალისწინებით, აქცევენ თუ არა ისინი ყურადღებას პოსტზე გამოხმაურების სიმძაფრესა და დეტალებს.
- 2) ფსიქოლოგიური მოთხოვნები- ამ კატეგორიაში განვიხილავთ, აქვეყნებენ თუ არა ფეისბუქის მომხმარებლები და პროფესიონალი ფსიქოლოგები ისეთ პოსტებს, სადაც ისინი ზრუნავენ გარშემომყოფების კეთილდღეობაზე
- 3) თვითრეალიზაცია- ამ კონკრეტულის მიზანია, დაადგინოს ფეისბუქის მომხმარებლებსა და პროფესიონალი ფსიქოლოგების პოსტებში ისახება თუ არა, რაიმე ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც მკაფიოდ უსვამს ხაზს ავტორის ცხოვრებისეულ მიღწევებს.

შედეგები და დასკვნები

შედეგები და დასკვნები: სოციალურ მედიის აქტიური მომხმარებლები და პროფესიონალი ფსიქოლოგები. მთლიანობაში 10 ერთეული.

შედეგები და დასკვნები: 09.03.2017-08.06.2023

შედეგები და დასკვნები: საკვლევი მიდგომა არის სემიოტიკური, ხოლო საკვლევი ტექნიკა არის თვისებრივი კონტენტანალიზი

1.1. როგორ მოქმედებს ქსელური თანამეგობრობის წევრება მომხმარებლის ფსიქიკაზე

სოციალური მედიას მრავალი მეცნიერული დისციპლინა იკვლევს: კომუნიკატივისტიკა, მედიაინჟინერია, სოციოლოგია, ტექსტმცოდნეობა, კულტუროლოგია, ბიზნესი, მარკეტინგი, პოლიტიკის მეცნიერებები... ამ მრავლობითობას საკუთრივ სოციალური მედიის მრავალწახნგოვნება განაპირობებს: ქსელური საზოგადოების ფენომენი, ვირტუალური თანამეგობრობის ფენომენი, შინაარსის შექმნა, კომუნიკაციის პროცესის თავისებურებები, ჰიპერტექსტურობა, სპეფიციკური პროგრამული ფუნქციონალები და სხვ. საინტერესოა, რომ თითოეული ეს მეცნიერება თუ დისციპლინა სოციალური მედიით, კერძოდ კი – სოციალური ქსელით, ფეისბუქით, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დაინტერესდა. ზოგიერთი მათგანისთვის ინტერესის აღმძვრელი ფაქტორი ქსელის განუხრელი ზრდა და მომხმარებელთა რაოდენობა გახდა, ზოგიერთისთვის კი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება იმ პირობებშიც კი, როცა მას კონკურენტი სოციალური ქსელები გამოუჩნდნენ. აკადემიური წყაროები გვიჩვენებენ, რომ ფსიქოლოგია იყო ის მეცნიერება, რომელიც კომუნიკატივისტიკასთან ერთად, თავიდანვე აკვირდებოდა ადამიანს და მის ქცევას სოციალურ ქსელურ სივრცეში,

ფეისბუქმომხმარებლის რეალურ და ვირტუალურ იდენტობას, მის თვითობას და თვითობის გამოხატვის ხერხებს.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ ფეისბუქის მოხმარება ორი კუთხით: (1) რა ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს სოციალურ ქსელებში პოსტების გამოქვეყნებას იუზერების მიერ და (2) რით განსხვავდება ზოგადი კონტენტისგან პროფესიონალი ფსიქოლოგების პოსტები.

თავიდანვე უნდა დავთქვათ, რომ სოციალურ ქსელებში პოსტების გამოქვეყნების ფსიქოლოგიური მოტივაციის ზუსტად დადგენა შეუძლებელი ამოცანაა. თუმცა, სოციალურ ქსელებში ადამიანების ქცევის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტის და თავისებურების შესწავლა გარკვეულწილად გაადავილებს პოსტების გამოქვეყნების ზოგად მოტივაციას მაინც.

მაგალითისთვის მოვიყვანთ სტატიას „სოციალური გაცვლის ფსიქოლოგია“ (*Content Works, The Psychology of Social Sharing, 2018*)¹ რომელიც შეეცადა, ჩამოეყალიბებინა რიგითი მომხმარებლების

მიერ პოსტების გამოქვეყნების მოტივაციის სხვადასხვა საფეხურები.

მიუხედავად იმისა, რომ სტატიის ავტორები ფეისბუქში გამოქვეყნების

ფსიქოლოგიას მარკეტინგის კუთხით მიუდგნენ, მათ მაინც მკაფიო

ფსიქოლოგიური სტიმულები მიუსადაგეს შინაარსის გაცვლას ამ სოციალურ

¹ *The Psychology of Social Sharing*, contentworks.medium.com, 23.10.2018, <<https://contentworks.medium.com/the-psychology-of-social-sharing-82be5fe08436>>, [30.06.2023]

სივრცეში. საბოლოო შედეგების მიხედვით, მათი ნაშრომი წარმოადგენდა აბრაამ მასლოუს ადამიანური მოთხოვნების იერარქიის მოდიფიცირებულ ვერსიას, უფრო სწორად - მის ადაპტაციას ვირტუალურ რეალობაში.

ეს სტიმულები სტატიაში ამგვარად იყო ჩამოყალიბებული.

1. კატეგორიის სათაური - **სიყვარული/მიკუთვნებულობა**

ამ კატეგორიის მიზანია ის, რომ გამოვარკვიოთ სხვაობა სოციალური ქსელის მომხმარებლისა და პროფესიონალი ფსიქოლოგების საჯარო პოსტებს შორის იმაზე დაყრდნობით თუ რამდენად აქცევენ ისინი ყურადღებას გამოხმაურების სიმძაფრესა და მის შინაარსს (კომენტარები, Facebook- ის რეაქციები).

2. კატეგორიის სათაური - **უსაფრთხოების მოთხოვნა**

ამ კატეგორიის მიზანია გამოვარკვიოთ, აქვეყნებენ თუ არა სოციალური ქსელის მომხმარებლები და პროფესიონალი ფსიქოლოგები საჯარო პოსტებს იმისათვის, რათა დაიცვან კონკრეტული ფაქტის მონაწილენი ან პოტენციური მსხვერპლი/მსხვერპლები.

3. კატეგორიის სათაური- **თვითრეალიზაცია**: იგი ადამიანური მოთხოვნების იერარქიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ასპექტად და საფეხურად მიიჩნევა; სოციალურ ქსელებში

გამოქვეყნებისას ეს ასპექტი იმაში იჩენს თავს, როცა მომხმარებლები

თაანამეგობრობის წევრებს თაავინათ მიღწევებს და წარმატებებს უზიარებენ -

სკოლის ამ უნივერსიტეტის დამთავრებას, ახალ სამსახურს, მნიშვნელოვანიდა

რთული პროექტის დასრულებას, ჯილდოს მიღებას.

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიამ ფეისბუქის შესწავლისას

ფოკუსი ორ განზომილებას მიაპყრო: (1) თვითობის რეპრეზენტირებას და (2) გაზიარების მოტივაციას. სტატიაში „რატომ ვაზიარებთ: მოტივების კვლევა მობილურ მედიაში აზრზთა გაცვლა-გამოცვლის შესახებ“ საკონფერენციო მასალები, International Conference on Active Media Technology.

pp 195–206) მოთხრობილია რეალური ექსპერიმენტის შესახებ, რომლის მიმდინარეობის დროსაც რესპონდენტებსა და ცდის პირებს შესთავაზეს, დღიურებში ჩაეწრათ თვიანთი პოსტინგის ჩვევები და შემდეგ აღეწერათ შესაბამისი, ამ პროცესისი თნამდევი გრძნობები და განცდები; მეორე ეტაპზე კი ცდის პირებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ინტერვიუში. მომხმარებლების ქცევების (რომლებიც „ პოსტინგის ჩვევებად“ იქნა მოხსენიებული) მონიტორინგის შემდეგ მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ პოსტინგს განაპირობებს ორი ტიპის გავლენა ინდივიდუუმზე: ემოციური და სოციალური.

ზოგიერთმა მკვლევარმა ყურადღება მიაპყრო სოციალური ქსელების გავლენას ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკურ განვითარებაზე. სტატიაში “Growing Up Wired: სოციალური ქსელების საიტები და მოზარდების ფსიქოსოციალური განვითარება“ აღნიშნულია, რომ ზოგიერთი მიზეზი, რომელთა

²გამოც ადამიანები ერთმანეთისთვის ინფორმაციის, სიახლის გაზიარებით არიან

² *Growing up wired: Social Networking Sites and Adolescent Psychosocial Development*, ncbi.nlm.nih.gov, 2014, <<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3795955/>>, 30.06.2023

დაინტერესებული, რაც მათ გაზიარების მოტივაციას სძენს, სათავეს მათ ბავშვობიდან იღებს - მათ ბავშვობიდანვე აჩვენებდნენ გაზიარების სოციალურ თუ კომუნიკაციურ კულტურას. კვლევის ავტორები, შაპირო და მარგოლინი, წერენ: „საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოზარდების მიერ გამოთქმული მოტივები სოციალური ქსელების საიტების მომხარების შესახებ ძალიან ჰგავს ურთიერთობის/კომუნიკაციის ტრადიციულ ფორმებს – მეგობრებთან მუდმივად კავშირზე ყოფნას, ადამიანების უკეთ გაცნობის სურვილს, გეგმების დასახვას და საკუთარი თავის განსხვავებული ვერსიის შექმნას – სხვებისთვის მოსაწონის. კიდევ ერთი სტატიის „How many likes did I get?: Purpose moderates links between positive social media feedback and self-esteem“ [„რამდენმა დამალაიქა? ბმა სოციალურ ქსელებში დადებით უკუკავშირსა და თვითშეფასებას შორის“; ავტორები: Anthony L. Burrow , Nicolette Rainone, Department of Human Development, Cornell University, Ithaca, NY, United States], რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „Journal of Experimental Social Psychology“ (2016) , – ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ადამიანები სოციალურ ქსელებში პოსტებს აქვეყნებენ, იმაში მდგომარეობს, რომ ინფორმაციის გაცვლა-გაზიარებას, შეიძლება, მოჰყვეს დადებითი გამოხმაურებები იმავე ქსელებში, რაც თვითშეფასების ამაღლების ერთ-ერთი საფუძველი ხდება. უფრო კონკრეტულად - ლაიქების, ანუ მოწონების, და ხელმომწერების მონიტორინგი, მათ ზრდაზე დკვირვება იუზერებისთვის ის სტიმულია, რომლის გამოც მომხმარებლები უფრო ხშირად ქვეყნებენ თავიანთ

მოსაზრებებს ფეისბუქში. დადებითი ყურადღება - ასე უწოდებენ ავტორები იმ სინდრომს, რომელიც ამ შემთხვევაში მოქმედების სტიმულად იქცევა.

დასკვნის სახით ბეროუ და რეინოუნი გვთავაზობენ მოსაზრებას, რომ ადამიანები, ჩვეულებრივ, პოსტებს განსაზღვრული ემოციური პოზიციიდან აქვეყნებენ, რომელიც, თავის მხრივ, რეაქციის გამომწვევია (აღმძვრელია).

ვინაიდან სოციალური ქსელები თავიანთი ბუნებით სწორედ გაზიარების ფენომენზე არიან აგებული, სრულიად ლოგიკურია დაშვება, რომ პოსტების გამოქვეყნების მოტივაცია ფსიქოლოგიური განზომილებისაა - დამყარდეს კონტაქტი სხვა ადამიანებთან და ამ კონტაქტს დადებითი ემოციები წარმართავდნენ. თუმცა, იმავე ავტორების აზრით, ეს მუდმივი, მზარდი სწარფვა აღიარებისკენ მანიად იქცევა და მაშინ დადებითი ფსიქოლოგიური კონტაქტის ნაცვლად მომთხოვნი მოწონების აკვიატება იწყება, რაც ზოგიერთ ადამიანში სერიოზულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს იწვევს.

სამედიცინო, ნევროლოგიური პერსპექტივიდან სოციალური ქსელები უნიკალური მექანიზმით ახდენენ გავლენას ტვინის სხვადასხვა ფუნქციაზე. სქელი შეიცავს სტიმულების მრავალ კომბინაციას, რომლებსაც მრავალი რეაქციის გამოწვევა შეუძლიათ, და ამიტომაც სოციალური ქსელების გავლენა ტვინზე სხვადასხვგვარად ვლინდება. მაგალითად, იგივე დადებითი ყურადღება ტვინის სხვადასხვა უბანზე იწვევს გალიზიანებას. სტატიაში „What the brain ‘Likes’: neural

correlates of providing feedback on social media (Lauren E Sherman, Leanna M Hernandez, Patricia M Greenfield, and Mirella Dapretto, 2018 Sep; 13(7): 699–707)), რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „ Social Cognitive and Affective Neuroscience“, აღნიშნულია, რომ ლაიქების, მოწონების მიღება ფეისბუქზე, ინსტაგრამზე ან ტვიტერზე იწვევს ნეიროჯაჭვების იმ უბნების აქტივაციას, რომელიც უკავშირდება „დაჯილდოებას“, „ჯილდოთი კმაყოფილებას“.

იგივე შედეგები დაადასტურა სხვა კვლევამ, რომელშიც მეცნიერებმა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული მოწყობილობა გამოიყენეს ტვინისმიერი აფექტებისა და რეაქციების დასაფიქსირებლად. როცა კვლევის ავტორებმა გაანალიზეს იმ მოზარდების ტვინის ტომოგრამა (სიგნალების გაშიფრული ჩანაწერი), რომლებიც სამედიცინო მანიპულაციის დროს ინსტაგრამს ათვალიერებდნენ, აღმოაჩინეს, რომ ისეთი ფოტოების ნახვა, რომლებსაც მეტი მოწონება ჰქონდათ მოგროვებული, იწვევდა იმ ნეირონების გააქტიურებას, რომლებიც მონაწილეობენ „დაჯილდოების, სოციალური აღიარების და ყურადღების დამსახურების გამომუშავებაში“. ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ ზუსტად იგივე უბნები იგივე ინტენსივობით რეაგირებენ აზარტულ თამაშებზე (წყარო: What neuroscience tells us about the teenage brain. New research now turns an old assumption on its head, as psychologists seek to optimize social contexts and environments for developing minds. By Zara Abrams, August 25, 2022; Date created: July 1, 2022. Vol. 53 No. 5).

გარდა დაჯილდოების აქტივაციისა, სოციალური ქსელების სტიმულებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ტვინის იმ ფუნქციებზე, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებასა და ემოციების „გადამუშავებაზე“ არიან პასუხისმგებელნი. ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც აკვირდებოდა მოზარდების ნეირონულ აქტივობებს (What Happens in Your Mind and Brain When You Are Excluded from a Social Activity?, 2017, Taishi Kawamoto, ³თავის ტვინის სწორედ ეს უბნები – ემოციური და სენსორული გადამუშავების ნეირონები – თვალშისაცემად აქტიურდებოდნენ, როცა მონაწილეები თავს იზოლირებულად გრძნობდნენ. აქ იზოლაციაში იგულისხმებოდა მათი გამორიცხვა ონლაინჩატებიდან, ქსელური ჯგუფებიდან, – ასეთ შემთხვევაში მომხმარებლებს უაქტიურდებოდათ რეაქცია გარიყულობაზე. ისინი კარგავდნენ კონტროლს და რაციონალურ განსჯას გადაწყვეტილების გამო, გრძნობდნენ საკუთარ თავში დაურწმუნებლობას, რადგან გამორიცხვისა და იზოლაციის გამო ვერ ხვდებოდნენ, მათი სიტყვა ან ქცევა მოსაწონი იქნებოდა თუ დასაწონი.

მეთოდოლოგია და კვლევის დიზაინი

³ Wakamoto T., *What Happens in Your Mind and Brain When You are Excluded from a Social Activity?*, kids.frontiersin.org, 07.08.2017, <<https://kids.frontiersin.org/articles/10.3389/frym.2017.00046>>, 30.06.2023

საკვლევი შეკითხვა-როგორც გვიჩვენა ლიტერატურის მიმოხილვამ, ჩვენ მიერ განსახილველი საკითხი ძალიან კომპლექსურია, ვინაიდან იგი გარკვეული პროპორციით უკავშირდება როგორც დისკურსს – მეტყველებას, ისე - ქცევას.

ჩვენი საკვლევი პოპულაცია შეიძლება დავხასიათოთ შემდეგნაირად: პროფესიონალი ფსიქოლოგების ფეისბუქპოსტები, რომელთა შინაარსიც წარმოაჩენს პოსტის გამოქვეყნების მოტივაციას. პროფესიონალ ფსიქოლოგებს შორის, რომლებიც სოციალურ ქსელში აქტიურობენ, ავარჩიეთ შემდეგი მომხმარებლები:ფსიქოლოგი, ფსიქო-სოციალური დახმარების ცენტრ „კამარას“ დამფუძნებელი-ნათია ფანჯიკიძე, ხოლო, მეორე, ფსიქოთერაპევტი და კლინიკური სუპერვაიზორი-მაია ცირამუაა. არჩევანი მათზე შეჩერდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ფეისბუქ მეგობრების რაოდენობა, მიმდევართა (ფოლოურთა) რაოდენობა, პოსტვის სიხშირე, მოწონებების, გაზიარებების რაოდენობა, კომენტარების რაოდენობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონკრეტული ფსიქოლოგების შერჩევა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, ერთ-ერთია ფართო აუდიტორიის რიცხვობრივ მაჩვენებელი. მიმდევართა რიცხვი ნათია ფანჯიკიძის შემთხვევაში შეადგენს 108 000 ადამიანს, ხოლო მაია ცირამუასთან კი ეს რიცხვია 2706. ორივე მათგანი საკმაოდ აქტიურობს სოციალურ პლათფორმაზე, როგორც ნებისმიერ საინტერესო თემაზე დაწერილი პოსტებით, ასევე კითხვა-პასუხის რეჟიმით. მათგან სწორი მიდგომით ხდება ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებაში, სწორედ ამიტომაცაა ნდობის ფაქტორი საკმაოდ მაღალი. ამის შემჩნევა მარტივია ხალხის აქტიურობიდან გამომდინარე. მათი რეაქციები, კომენტარები და პოსტების გაზიარებები მიანიშნებს რომ საინტერესო და სწორი მიმართულება აქვთ არჩეული. სოციალურ პლათფორმაზე აქტიურობა, ხშირი პოსტები, მიმდევრებთან ჯანსაღი კომუნიკაცია - პროფესიონალიზმთან ერთად ზუსტად ეს კომპონენტები აღრმავებენ მათ მიმართ კეთილგანწყობას. უფრო ვრცლად რომ განვიხილოთ თითოეული მათგანის აქტიურობა პლათფორმაზე საჭიროა დავაკვირდეთ თუ რა სიხშირით პოსტავენ სოციალურ სივრცეში. ნათია ფანჯიკიძე საკმაო აქტიურობით გამოირჩევა და გარდა პროფესიული რჩევებისა, ჩართულია მსოფლიო თუ ქვეყნის სიახლეებში,

ყოველთვის დასაბუთებულად აფიქსირებს საკუთარ აზრს და არ ცდილობს შენიღბოს რაიმე მიზნით. მისი წერის მანერა სწორედ ამას ადასტურებს. გაცნობიერებულ და აზრობრივად გამართულ ტექსტს საზოგადოების სწორად ინფორმირება შეუძლია, სწორედ ამას ვხედავთ ნათიას სოციალურ პლათფორმაზე. მისი პოსტების რაოდენობა დღის განვალობაში 5-10 მერყეობს, აქ განხილულია, როგორც მიმდინარე მოვლენები, ასევე სასურველი თემები. რაც შეეხება მათა ცირამუას, მისი პოსტები ხშირი ნამდვილად არაა, თუმცა ყოველთვის თემატურ და ძალიან საჭირო ინფორმაციას მოიცავს. პლათფორმაზე მისი ნორმალური აქტივობა მერყეობს 1-2 კვირის შუალედში. რაიმე უსიამოვნო ინციდენტის მოხდენის შემთხვევაში სწორედ მის პოსტებში ამოიკითხავთ ყველა სწორ რჩევას, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ მსგავს შემთხვევებში.

რაც შეეხება საკვლევ საკითხს, მის ჩამოსაყალიბებლად ჩვენ კვლევის პირველ ეტაპზე მივმართეთ არჩეული საკვლევ პოპულაციის მონიტორინგს; მონიტორინგის მიზანი იყო ერთგვარი საპილოტე კვლევის ჩატარება, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გარკვეული ანალიტიკური მოდელი შეგვექმნა.

ვიდრე საკვლევ საკითხს ზუსტი ფორმულირებით ჩამოვყალიბებთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყურადღება შევაჩეროთ მოდელირების მნიშვნელობაზე კვლევის დიზაინში.

როგორც უთითებენ მედიის კვლევების მეთოდისტები Delbert C. Miller & Neil J. Salkind (2017), მოდელის შემუშავება (შექმნა) სოციალური მეცნიერების განუყოფელი ნაწილია, რადგან სწორედ მოდელი სჭირდება თეორიის განვითარებასა და კვლევის დიზაინს. სწორედ მოდელი უზრუნველყოფს ჩარჩოს, რომლის საშუალებითაც ხდება მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა.

სოციალური მეცნიერებების ტერმინოლოგიაში „მოდელირება“ სხვადასხვა გამოვლინებით გვხვდება: სათამაშო მოდელები (gaming), სიმულაციური მოდელები,

როლური მოდელები, ტრენდების მოდელები, ლაბორატორიული მოდელები, ინფორმაციული და კიბერნეტიკური მოდელები, მიზეზ-შედეგობრივი მოდელები და მრავალი სხვა. თავად თეორიაც კი ნაწილდება თეორიულ მოდელებად.

იგივე ავტორები ამბობენ, რომ შეძლებისდაგვარად, მკვლევარმა მოდელების დიზაინისა და გამოყენებისას შემდეგი წესებით უნდა იხელმძღვანელოს:

- პირველ რიგში, მაქსიმალურად სიღრმისეულად გავიგოთ მოდელირებული სისტემა;
- შესაძლებელია სისტემის მხოლოდ მნიშვნელოვანი ნაწილების მოდელირება;
- შეძლებისდაგვარად, მოდელში მუდმივები (ანუ კონსტანტა ცვლადები) და კავშირები უნდა გაიზომოს ემპირიულად.

ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვა უკვე მოიცავს საკუთარ თავში განსაზღვრულ კლასიფიკატორებს, ნომინალურ კატეგორიებს, რომლებიც კვლევის შედეგად (ანუ ემპირიულად) იქნა მოპოვებული მკვლევრების მიერ, თუმცა ისინი ჩვენთვის ლიტერატურიდან აღებულ მოდელებს წარმოადგენენ.

პილოტის შემდეგ ვცადეთ მიგვემართა პროფესიონალი ფსიქოლოგების კლასიფიკაციისთვის როლური მოდელის მიხედვით – კერძოდ, ერთის მხრივ, პოსტების შინაარსში გამოგვეყო ზოგადად იუზერისთვის დამახასიათებელი მოტივაციის არსებობის ფარგლები და ტიპები, ხოლო მეორეს მხრივ, შეგვესწავლა და დაგვეკლასიფიცირებინა პროფესიული მოტივაციის ტიპები.

ჩვენი საკვლევი შეკითხვა უკავშირდება ფსიქოლოგების როლურ მოდელებს საჯარო გაზიარების სივრცეში: როგორ როლურ მოდელებს ირჩევენ ისინი საკუთარი თავისა და პროფესიის წარმოსაჩენად?

როლური მოდელი – ეს არის ქცევითი მოდელი, რომელიც გამოიხატება პოსტის მოტივაციაში; როლური მოდელი არის ის მოდელი, რომელიც მთლიანად არ ემთხვევა პერსონის, ინდივიდუუმის თვითობას (self); ეს არის კონსტრუირებული მე, რომელსაც თავად იუზერი (მომხმარებელი) ირჩევს საკუთარი იდენტობის და პროფესიული კომპეტენციის პრომოციისთვის.

საპილოტე კვლევის შედეგად გამოვყავით ისეთი მოდელები, რომლებიც ექვემდებარებიან დეფინიციას/განსაზღვრებას.

როლური მოდელი 1 – „ყველასნაირი, თუმცა სხვებზე უფრო პოზიტიური“. ძირითადად მსგავსი ქსელური თანამეგობრობის სხვა წევრებისა (ერთი და თანასწორი სხვათა შორის); პოსტები რუტინულია, ეხება ყოველდღიურობას, ყოველდღიურ საქმეებს, ემოციებს. პროფესიული კომპონენტი თავს იჩენს მაშინ, როცა იგი საკუთარი თავისა და თავისი ორგანიზაციის, კოლექტივის წარმატებებზე წერს. როგორც რუტინული, ისე პროფესიული შინაარსი ორიენტირებულია წარმატების გაზიარებაზე, მოწონებისა და აღიარების მოლოდინზე.

როლური მოდელი 2 – „პროფესიული მრჩეველი-ალარმისტი“ [მოგანგაშე]; მისი აქტივობა სოციალურ ქსელში იმატებს მაშინ, როცა საზოგადოებაში რაიმე შემაშფოთებელი ხდება, ძირითადად, ბავშვების, მოზარდების ან რისკ-ჯგუფების წარმომადგენლების წინააღმდეგ. მისი განგაში არ არის პანიკა; იგი რეკომენდაციებით გამოდის.

როლური მოდელი 3 – „ინტერპრეტატორი“; გარემო მოვლენებს უკეთებს ფართო ფსიქოლოგიურ ანალიზს; ხსნის დევიანტურ ან ნაკლებად დევიანტურ ქცევებს; ან ისეთ ქცევებს, რომლებიც თავიანთი არსით ნორმიდან გადახრას წარმოადგენს, მაგრამ განსაზღვრული იდეოლოგიური წნეხის ქვეშ ეს ქცევა აღიქმება როგორც რეალობის ნორმა (ხდება ამ ქცევის გამართლება საზოგადოებაში).


შედეგების განხილვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ ფეისბუქის გამოყენება ორი კუთხით: 1) რა დატვირთვა აქვს მომხმარებლების მიერ პოსტების გამოქვეყნებას სოციალურ ქსელში და 2) რა განსხვავებაა ზოგადი კონტენტისგან პროფესიონალი ფსიქოლოგების პოსტები. სწორედ ამ მიმართულებით განვიხილავთ ზემოაღნიშნულ სამ კომპონენტს და გავამყარებთ მაგალითებით. საკვლევი მასალა გაყოფილია ორი მიმართულებით: თემატური მოდელოების მხრივ და ტიპოლოგიის მხრივ. ნაშრომი დაყრდნობილია შემდეგ საკვლევ მასალაზე: როგორი ტიპის მპოსტავი არსებობს სოციალურ სივრცეში, ეთავსება თუ არა მათი პოსტები დასახელებულ კატეგორიებს, ისახავს თუ არა მიზანს მსგავსი პოსტები საკუთარი და ამავდროულად ქსელის მომხმარებლებისთვის გახდეს მოტივაციის წყარო.


შედეგების განხილვა/შედეგების განხილვა

1. ამ კატეგორიაში განხილულია, თუ რამდენად ანიჭებენ მნიშვნელობას გამოხმაურების ფორმას ფეისბუქ მომხმარებლები და პროფესიონალი ფსიქოლოგები მათ ნებისმიერ პოსტზე. უცხო არ უნდა იყოს, რომ პროფესიონალები მათ მიმართ გაშვებულ ყოველგვარ ემოციას მეტად გაწონასწორებულად, გააზრებულად და საოცარი სიმშვიდით იღებენ და პასუხობენ. როგორც ვახსენეთ ყველა ადამიანს საკუთარი შეხედულება აქვს ამა თუ იმ საკითხის მიმართ, სოციალური პლათფორმა კი ნებისმიერ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას სასურველ თემაზე დაპოსტონ. სოციალური ქსელებიდან ყველაზე პოპულარული მაინც ფეისბუქია, აქ თავს იყრის ყველა ასაკის, მენტალიტეტის, აზროვნების ადამიანი. რაც უფრო ჭრელია მომხმარებელთა კატეგორია, მით უფრო მეტია განსხვავებული პოსტების რაოდენობა. დღესდღეობით ადამიანებს მოსწონთ სხვის ქმედებასა და სიტყვებში რაიმე ხარვეზის დაფიქსირება, ამაზე შემდგომ საჯაროდ ხაზგასმა და მითითება, ამ ფაქტს ქსელის ყველა მომხმარებელი ვერ ეგუება და შემდგომ

უკეთეს შემთხვევაში კამათით სრულდება ურთიერთობა. პროფესიონალი ფსიქოლოგის და ფეისბუქ იუზერის დამოკიდებულება ნეგატიურ კომენტარებზე განსხვავდება, მაია ცირამუამ რამდენიმე დღის 2023 წლის 23 თებერვალს გამოაქვეყნა საკუთარი ფოტო, რომელზეც გამოსახულია ევროკავშირისა და უკრაინის მხარდასაჭერი თემატიკა. ამ კონკრეტული პოსტის კომენტარებში, სრულიად გაურკვეველი პიროვნება ნეგატიური შინაარსის კომენტარს აფიქსირებს, რაზეც ქალბატონი მაია ცირამუა საკმაოდ მშვიდად, გაწონასწორებულად და მეტიც, ღიმილით პასუხობს რომ არ აყვება მის პროვოკაციას. სწორედ ესაა პროფესიონალიზმის კარგ მაგალითი, და ასევე კარგი მაგალითი დანარჩენი მეგობრებისთვის, რადგან მსგავსი პროვოკაციული განცხადების ავტორებს წინასწარ გააზრებული აქვთ რა რეაქცია შეიძლება ჰქონდეს მპოსტავს მსგავსი კომენტარის წაკითხვისას. სპეციალურად მსგავსი კომენტარების წერისთვის შექმნილი სამსახურის წარმომადგენლები (ბოტები) ავრცელებენ ამდაგვარი შინაარსის კომენტარებს, თუმცა ყოველთვის სათანადო შედეგს ვერ აღწევენ, როგორც ქალბატონი მაიას შემთხვევაში. თუმცა ამ კომენტარის საპასუხო კომენტარშიც ჩანს განსვავება ფეისბუქ იუზერსა და პროფესიონალი ფსიქოლოგს შორის.



ფიქსირდება, მისი მკვლეელი კი ამ დრომდე თავისუფალია. ტრაგედიის შემდეგ ანას დედა სოციალურად გააქტიურდა, რადგან სხვა ბავშვებმა და მშობლებმა არ განიცადონ მსგავსი ტკივილი. ანას დედა, ქალბატონი ნატო პოსტს აქვეყნებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მისამართით და მოითხოვს საქმის მსვლელობა გააქტიურდეს. ანის დედის ამ და სხვა პოსტებზე, მხოლოდ მოწყენილი (65) და სიყვარულის (23) რეაქციები ფიქსირდება. მეგობრები აზიარებენ პოსტს იმ იმედით, რომ მიაწვდინონ ხმა შინაგან საქმეთა სამინისტროს და პრემიერს გაზიარება (27)



ამავე თემასთან დაკავშირებით პროფესიონალი ფსიქოლოგი მანია ცირამუა საგანმანათლებლო ხასიათის პოსტს აქვეყნებს და საზოგადოებას აწვდის დეტალურ ინფორმაციას თუ რატომაა საჭირო ბავშვის ინფორმირება სწორად. აუცილებელია, ყველა მშობელმა აუხსნას ბავშვს თუ რა შედეგი შეიძლება გამოიღოს უცხო, ერთი

შეხედვით უწყინარ ადამიანთან რაიმე სახის კონტაქტმა. ბავშვები ერთი შეხედვით ვერ ამჩნევენ ადამიანებს რა განზრახვა ამოძრავებთ. იმისთვის, რომ ოჯახის წევრებმა სრულყოფილად მოახერხონ მოზარდის ინფორმირება, საჭიროა გაცნობიერებულები იყვნენ თუნდაც სამართლებრივ საკითხებში,(რისი უფლება აქვთ სექსუალური ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში, რისი ცოდნა აუცილებელი ფაქტის პრევენციისთვის) გაიაზრონ და სწორმნიშვნელოვნად მიაწოდონ ბავშვს ინფორმაცია. პოსტზე დაკვირვების შედეგად გამოისახა ასეთი მაჩვენებლები:(344) მოწონება, (124) მოწყენის რეაქცია, ხოლო (891) გაზიარება. კომენტარებში დაფიქსირდა დადებითი შეფასებები, პლათფორმის მეგობრების ნაწილმა, ეს ინფორმაცია საკუთარ გვერდზე გააზიარა, რადგან მეტი ადამიანი იყოს ინფორმირებული. მაია ცირამუას სრულიად შესაზღვრელია „პროფესიული მრჩეველი-ალარმისტი“ ეწოდოს, რადგან სწორედ ისეთ დროსა და მომენტში აქვეყნებს ინფორმაციულ პოსტებს, როდესაც ყველაზე მეტადაა ამის საჭიროება.



მსგავსი შემზარავი ფაქტი დაფიქსირდა 2017 წელს გორში, 9 წლის ბარბარე ბერიანიძე სექსუალურმა მოძალადემ იმსხვერპლა და იმავე პრინციპით გადამალა სახლის

სიახლოვეს, გაუვალ ბუჩქებში რა პრინციპითაც ან იანუშაიტიტე გაუჩინარდა. ამ შემთხვევაში გამოძიებამ მიაგნო მკვლელის კვალს და კანონის სრული სიმკაცრით მოხდა მისი დასჯა. როგორც ვახსენეთ, მსგავსი ტრაგედიის პრევენციისთვის აუცილებელია ჯერ მშობლების და ახლობლების იყვნენ ინფორმირებულები, რომ სწორად მიაზოდონ მოზარდებს ინფორმაცია.

შედეგები

1. ამ თემის პირველ მაგალითად განვიხილოთ პროფესიონალი ფსიქოლოგის ნათია ფანჯიკიძის პოსტი საკუთარი დის წარმატების შესახებ. 2020 წლის 8 ივლისს დიპლომატი და მეცნიერი მათა ფანჯიკიძე ავსტრიის მთავრობამ ქართულ-ავსტრიული ურთიერთობისა და კულტურისთვის გაწეული სამაგალითო წვლილისთვის ორდენით დააჯილდოვა. პოსტში ვკითხულობთ: „როგორც უმცროსმა დამ, უფროსის დაბადების დღეზე რამე საჩუქარი რომ უნდა ერგოს, ჩემით მივინიჭე სტაფილოს ორდენი“. ამ მონაკვეთში ჩანს, რომ თითქოს მპოსტველს სურს რაღაც კუთხით გააიგივოს თავი წარმატებულ ადამიანთან, მიუხედავად იმისა ეკუთვის თუ არა მას ეს შედეგი, თუმცა ფაქტია, რომ ფსიქოლოგიურად ძალიან ეფექტურია ახლობელი ადამიანების წარმატების გაზიარება და ერთგვარ მოტივაციას წარმოადგენს საზოგადოებისთვის მსგავსი მიღწევები. რაც შეეხება საზოგადოების რეაქცია, მხოლოდ დადებითი დინამიკა შეინიშნება და ძირითადად დადებითი კონტექსტის კომენტარები ფიქსირდება. პოსტს აქვს (4100) მოწონება და (1800) სიყვარულის რეაქცია, მონიშნულია (46) სიცილის რეაქცია, თუმცა ამ ფაქტზე ავტორის მხრიდან არ ფიქსირდება რაიმე სახის უკურეაქცია.



ნათიას პოსტებს კარგად ერგება როლური მოდელის პირველი კომპონენტი- „ყველასნაირი, თუმცა სხვებზე უფრო პოზიტიური“. მისი პირადი გვერდი მოიცავს როგორც პროფესიულ, ასევე, ყოველდღიურ, ასევე შემეცნებით და აქტუალური შინაარსის პოსტებს.



2) მეორე მაგალითად შეგვიძია განვიხილოთ ძალიან აქტიური და თამამი ფეისბუქ მომხმარებლის-კუკური ბარამიძის, იგივე (Domenic mango) პოსტები, რომლებიც საზოგადოებაში ყოველთვის იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. სოციალურ ქსელში ხშირად შეხვედებით ისეთ პოსტებს, სადაც ხაზს უსვამს საკუთარ სულ მცირე ცხოვრებისეულ მიღწევებსაც კი. საზოგადოების ნაწილისთვის ეს ნორმაა ხოლო ნაწილი საპირისპირო აზრს აფიქსირებს კომენტარების სახით. ეს კონკრეტული მაგალითი ერთი შეხედვით მამოტივირებელი ხასიათისაა, თუმცა, პოსტის შინაარსი მიგვანიშნებს ავტორის ნარცისისტულ ხასიათზე, რადგან მოსწონს იმ დეტალების მუდმივი ხაზგასმა და საზოგადოებამდე მიტანა, რომელიც მის ქვეცნობიერს და ცნობიერს ერთდროულად აკმაყოფილებს. პოსტის რეაქციებით თუ ვიმსჯელებთ საზოგადოების დიდ ნაწილისვის (1200) მისაღებია მისი განცხადების შინაარსი, თუმცა მცირე რაოდენობის სიცილის რეაქცია (29) გვახვედრებს, რომ გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელი და სასაცილოც კია. ამას ადასტურებს ადამიანების კომენტარები და მპოსტავის ერთი, დიდი საპასუხო კომენტარიმათი მისამართით.




Domenic Mango

June 8 at 9:55 PM ·



ვისაც გგონიათ, რომ ნორმალურ ტანზე ყოფნისთვის აუცილებლად სავარჯიშო დარბაზში უნდა მიხვიდეთ და ათრიოთ ჯართები, ძალიან არასწორი დამოკიდებულებაა ეს. რასაც ფოტოზე ხედავთ, სახლის ვარჯიშებით, საკუთარი სხეულის წონით ვარჯიშითაა მიღწეული. დღეში მხოლოდ 1 საათი გჭირდება იმისთვის, რომ წონაც დაიკლო და ბუნებრივი ნაკვები და კუნთები დაიყენო, ზედმეტი და არაბუნებრივი დაბერვის გარეშე, როგორც ვხედავთ ხოლმე ხშირად. გულისთვის დამაზიანებელია არაბუნებრივი წონებით ხშირი დატვირთვა, ასევე ზიანდება სისხლძარღვებიც, როდესაც მიასკდებით და დაათრევთ გირებს. ყველაზე ჯანმრთელი ვარჯიში საკუთარი სხეულის წონით ვარჯიშია, ზედმეტი პუწუ-პუწუ რაღაცების გარეშე. კვებას რაც შეეხება, მე პირადად ხორცს არ ვჭამ, უფრო ბოსტნეულით და ვეგეტარიანული საკვებით ვიკვებები, ზედმეტი დიეტობანების გარეშე, ჩვეულებრივად. მოკლედ, მოტივაცია ვისაც გჭირდებათ, აქ ვარ ყოველ ჯერზე ნუ გადადებ დარბაზში მისვლის მიზეზით, სახლშიც გაქვს იატაკი და გაკვეთილებს იუთუბზეც მოძებნი.



კვლევის შედეგის განხილვისას შეუძლებელია არ ვახსენოთ პროფესიული ეთიკა, რომელიც ყველა დასაქმებულ პირს ავალდებულებს გარკვეული პირობების გათვალისწინებით დაიცვან კონფიდენციალურობა. ამ შემთხვევაში განვიხილოთ ფსიქოლოგის პროფესიული ეთიკის ნორმები. უპირველესი და უმნიშვნელოვანესია, სრული პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე და დახმარებისთვის მოსული ადამიანის პრობლემის გათავისება, მოსმენა და რა თქმა უნდა მისი ნათქვამი თითოეული სიტყვის უპირობოდ შენახვა. პროფესიული ეთიკის დარღვევა შესაძლებელია სრულიად გაუაზრებლად მოხდეს, რაიმე აფექტურ ან გამოუვალ მდგომარეობაში. ეს რა თქმა უნდა არ ამართლებს დარღვევის ფაქტს, თუმცა გავიხსენოთ ერთი მაგალითი: 2022 წლის მაისში ქართველმა პოეტმა, გიორგი კეკელიძემ ფეისბუქზე გამოაქვეყნა საკმაოდ მძიმე, გამოსამშვიდებელი, სუიციდური შინაარსის პოსტი, რასაც რა თქმა უნდა აჟიოტაჟი მოჰყვა. ამ გაუგებრობის ფონზე მისმა პირადმა ფსიქოლოგმა, ნათია ფანჯიკიძემ საკუთარ გვერდზე გიორგისთან პირადი მიმოწერის ამსახველი სქრინები გამოაქვეყნა პოსტთან ერთად. ფოტოებიდან ვიგებთ, რომ გიორგი მის პირად ფსიქოლოგს(ნათია) სთხოვდა შეხვედრას, რადგან

ძალიან ცუდად გრძნობდა თავს და საუბარი სჭირდებოდა, თუმცა ნათიას მივლინების გამო შეხვედრა გადაიდო, გიორგი კეკელიძე საავადმყოფოსი გადაიყვანეს სუიციდის მცდელობის გამო. სწორედ ამის შემდეგ გამოაქვეყნა ნათიამ სქრინები, უცნობი იყო მისთვის გიორგის იმჟამინდელი მდგომარეობა და ეგონა რომ სავალალო შედეგი უკვე დამდგარი იყო. მისმა სინანულის შემცველმა პოსტმა და პირადი მიმოწერების ფოტოებმა საკმაოდ დიდი უარყოფითი გამოხმაურება გამოიწვია, რასაც 30 წუთში ნათიას მხრიდან პოსტის წაშლა მოჰყვა. შესაძლებელია გაუცნობიერებლ, მაგრამ მაინც პროფესიული ეთიკის დარღვევასთან გვაქვს სამქმე. ვინაიდან ფეისბუქ პოსტი ფიზიკურად აღარ არსებობს, გთავაზობთ ერთ-ერთი ახალი ამბების გვერდიდან გადმოტანილ მაგალითს, რომელიც ნათია ფანჯიკიძის პოსტის ასლია.⁴



ფსიქოლოგი ნათია ფანჯიკიძე სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს და წერს, რომ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გიორგი კეკელიძეს მასთან სეანსებზე სიარული სურდა, თუმცა ვინაიდან ის მივლინებითი პოლონეთში მიდიოდა თერაპიები ვერ შედგა.

„გიორგი!!! თვეების წინ პირველად რომ შეუტია დეპრესიამ, შევხვედი, ერთ კვირაში უკეთ გახდა. გარკვეული პერიოდი წორმალურად იყო, შრომისუნარიანად. მერე ისევ დაუბრუნდა ძლიერი სიმპტომები, შევთამბდით, რომ რადგან არა ბავშვობის, მაგრამ შეგობრები ვართ, ჯობდა სხვა თერაპევტი "ჩაბრომოდა სულში". ერთი კვირის წინ მელაპარაკა, მაინც შენთან უნდა მოვიდო. ვუთხარი, ამ კვირაში დანებნას აზრი არა აქვს, რადგან 23-ში პოლონეთში მივდივარ მივლინებით და მანამდე მედიკამენტები რეჟიმის დაურღვევლად მიიღე, დაგბრუნდები და დაეწყოთამეთქი. ღმერთს ვთხოვ და შენ ვთხოვ, მთელი ცხოვრების ჭრილობად არ გადამექცეს ეს დაგვიანება", - წერს ნათია ფანჯიკიძე.

⁴ „ღმერთს ვთხოვ, მთელი ცხოვრების ჭრილობად არ გადამექცეს ეს დაგვიანება“-რა უთხრა გიორგი კეკელიძემ ნათია ფანჯიკიძეს, resonancedaily.com, 21.05.2022, <https://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=1&id_artc=157417&fbclid=IwAR22yGvDPRTFUKMSYmihiaJlB8ChCcV1mRQcEu0YNTc9he5W3jbg2FTEp_k>, 26.06.2023

შედეგები

სოციალური სივრცე საკმაოდ მრავალფეროვნებით ხასიათდება, ჩვენ საკვლევ ობიექტს კი ვირტუალური პლატფორმებიდან ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სივრცეს (Facebook) წარმოადგენს. ჩვენ შევისწავლეთ ფეისბუქის მოხმარება ორი მიმართულებით: რა ფსიქოლოგიურ დატვირთვას ატარებს სოციალურ ქსელში პოსტების გამოქვეყნება მომხმარებელთა მიერ და რა განსხვავებაა მათ მიერ შექმნილ ზოგად კონტენტსა და პროფესიონალ ფსიქოლოგთა პოსტებს შორის. საკვლევ თემაზე დაყრდნობით და მაგალითებით დადასტურდა, რომ სოციალური სივრცის ფსიქოლოგია მართლაც ფუნდამენტურად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველდღიურობაში. აღსანიშნია, რომ სოციალურ სივრცეში პოსტების გამოქვეყნების ზუსტი მიზნის დადგენა შეუძლებელია, თუმცა სამყაროში მიმდინარე მოვლენების თემატური ანალიზი ცხადყოფს ზოგიერთი პოსტის მიზანს.

ფეისბუქის ალგორითმი შეიცვალა წინა წლებთან შედარებით და მეტად გართულდა მასში რაიმე ინფორმაციის მოძებნა, თუნდაც იუზერის ან ჩვენს შემთხვევაში საკვლევ პოსტების მოძიება. ჩვენი საკვლევ თემა მოიცავს ფეისბუქის ფარგლებს, ამ პლატფორმაზე ყველა ფსიქოლოგი არ გამოირჩევა აქტიურობით, პროფესიული პოსტების წერა და გამოქვეყნება მათ ბლოგებსა და (Linked-in-ზე) ხდება, ხოლო როგორც ყველა ინოვაციურმა სოციალურმა ქსელმა, პირველ ეტაპზე მომხმარებლებში Linked-in-მაც დიდი დაინტერესება გამოიწვია, რის გამოც პირველ წლებში ამ პლატფორმას სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი იყენებდა. დროისა და ალგორითმის ცვლილების შემდეგ, ამ პლატფორმაზე საგრძნობლად შემცირდა ახალი მომხმარებლების რაოდენობა, შესაბამისად, ნაშრომის საკვლევ ველი მეტად დაუკავშირდა Facebook-ს, სადაც როგორც ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ხასიათის, ისე პროფესიული შინაარსის პოსტები ქვეყნდება.

გამოყენებითი ლიტერატურა

The Psychology of Social Sharing, contentworks.medium.com, 23.10.2018,
<<https://contentworks.medium.com/the-psychology-of-social-sharing-82be5fe08436>>,
[30.06.2023]

Goh D., Why We Share: A Study of Motivations for Mobile Media Sharing, link.springer.com,
2023, <https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-642-04875-3_23>, [30.06.2023]

Growing up wired: Social Networking Sites and Adolescent Psychosocial Development,
ncbi.nlm.nih.gov, 2014, <<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3795955/>
>,30.06.2023

Wakamoto T., What Happens in Your Mind and Brain When You are Excluded from a Social
Activity?, kids.frontiersin.org, 07.08.2017,
<<https://kids.frontiersin.org/articles/10.3389/frym.2017.00046> >, 30.06.2023

“ღმერთს ვთხოვ, მთელი ცხოვრების ჭრილობად არ გადამეცეს ეს დაგვიანება“-რა
უთხრა გიორგი კეკელიძემ ნათია ფანჯიკიძეს, resonancedaily.com, 21.05.2022,
<https://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=1&id_artc=157417&fbclid=IwAR22yGvDPRTFUKMSYmihiaJlB8ChCcV1mRQcEu0YNTc9he5W3jbg2FTEp_k >, 26.06.2023